ოქმი:**ო63. 6322362001**
თარიღი:**28/12/2022**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 25

ქ. სამტრედია. 19 დეკემბერი, 2022 წელი.

2022 წლის 19 დეკემბერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, ზაზა ადეიშვილი, დავით ჯანელიძე, გოჩა არველაძე, პაატა კოხრეიძე, ილია მჟავია, ჯონი თევზაძე, ბექა თევზაძე, ჯონი ახობაძე, მაია ტალაბაძე, ბადრი შენგელია, ლელა ჩორგოლაშვილი, გრიგოლ ჩიგოგიძე, გიორგი გაგუა, გივი ჯულაყიძე, კობა ძიძიგური, დავით ნიკოლეიშვილი, აკაკი მინაშვილი, მარიამ ბარბაქაძე, ლაშა გრიგოლია.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება''-ს, ხელმძღვანელი, კობა ბიბილეიშვილი.

2. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ -ს ხელმძღვანელი, ელგუჯა კალაძე.

3. ა.(ა).ი.პ. `სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის #1 სახელოვნებო სკოლის'' ბუღალტერი, ნანული კიკაბიძე.

4. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,#2 სამუსიკო სკოლის'' ბუღალტერი, დარეჯან ლომსაძე.

5. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის დირექორი, ლეილა ქვირია.

6. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის“ ხელმძღვანელი, ქეთევან მეფარიშვილი.

7. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის'' ხელმძღვანელი, ნინო ნანობაშვილი. ბუღალტერი, ავთანდილ შენგელია.

8. ა.(ა).ი.პ. `სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის~ ბუღალტერი, ნესტან შანიძე.

9. ა.(ა).ი.პ. „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების ბუღალტერი, ნინო რუხაძე.

10. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს ბუღალტერი, ციცინო ქაჯაია.

11. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება''-ს ბუღალტერი, ლელა ნიკურაძე.

12. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა''-ს ხელმძღვანელი, ნინო ნინუა. ბუღალტერი, ხათუნა ნიკოლეიშვილი.

13. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის'' ხელმძღვანელი, სოფიო კირთაძე.

14. ,,შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნეს“-ს ბუღლატერი, ლელა ნიკურაძე.

15. ა.(ა).ი.პ. ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს ბუღალტერი, თემურ გეგუჩაძე.

16. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი, ლევან ახობაძე.

17. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს ხელმძღვანელი, ვეფხია ნადირაძე. ბუღალტერი, ენძელა პატარიძე.

18. ა.(ა).ი.პ. „საფრენბურთო კლუბი - „ჯიკო“-ს წარმომადგენელი, კობა ჯანელიძე.

19. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს ხელმძღვანელი, ვეფხია სტურუა.

20. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი''-ს ხელმძღვანელი, პავლე კაპანაძე. ბუღალტერი, ნანა ხუჭუა.

21. ა.(ა).ი.პ. ხელბურთელთა კლუბი ,,სამტრედია“-ს ხელმძღვანელი, გიორგი ხელისუფალი.

22. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,კომპლექსური სპორტული სკოლის'' ხელმძღვანელი, ივანე კილტავა.

23. ა.(ა).ი.პ. ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს ხელმძღვანელი, გურამ ხუჭუა.

24. ,,შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს ხელმძღვანელი, ალექსანდრე სტურუა. ბუღალტერი, ნონა ქორიძე.

25. ა.(ა).ი.პ. "სახლი თანადგომა"_ს ხელმძღვანელი, ზემინარ ბოხუა.

26. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,სათნოების სახლი“–ს ხელმძღვანელი მამა შიო. ბუღალტერი ნათია ასლანიშვილი.

27. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, დავით ბაღდავაძე. საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილების გამგე, მარინა ანდღულაძე.

28. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.

29. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, იურიდიულ საკითხებში, ნატო ჯულაყიძე.

30. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,საინფორმაციო ცენტრი’’-ს წარმომადგენელი, გიორგი მელქაძე.

ნუგზარ ჯამბურიამ, დამსწრე საზოგადოებას მიულოცა ნიკოლოზობის ბრწყინვალე დღესასწაული, უსურვა უფლის წყალობა და სიმშვიდე. საკრებულოს წევრებს კი შეახსენა, რომ პოლიტიკური ეთიკისა და რეგლამენტის დაცვით მონაწილეობა მიიღონ დისკუსიაში.

თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს და გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება’’-ს, 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.63213541 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

2. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ -ს 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.63213544 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

3. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, `სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის #1 სახელოვნებო სკოლის’’ 2022 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.63213545 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

4. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის #2 სამუსიკო სკოლის’’ 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N გ-63.63213546 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

5. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის '' 2022 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის №გ-6363213542 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

6. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის“ 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის №გ-63.63213543 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

7. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის'' 2022 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის №გ-63.63213547 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

8. `არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, `სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის~ 2022 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N გ-63.632135414 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

9. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N გ-63.632135415 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

10. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს 2022 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135416 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

11. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება''-ს 2022 წლის ხარჯების

დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135422 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

12. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა''-ს 2022 წლის შემოსავლისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N გ-63.632135421 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ".

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

13. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის '' 2022 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის № გ-63.63213548 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

14. ,,შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნეს"-ს 2022 წლის საგამომცემლო-საწარმოო პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.63213549 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

15. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს, 2022 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135417 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

16. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის, 2022 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ", 2021 წლის 20 დეკემბრის N გ-63.632135418 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

17. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135419 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

18. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „საფრენბურთო კლუბი - „ჯიკო“-ს 2022 წლის სუბსიდიის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის №g-63.632135420 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

19. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს 2022 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Ng-63.632135413 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

20. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბის 2022 წლის შემოსავლისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Ng-63.632135412 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

21. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ხელბურთელთა კლუბი ,,სამტრედია“-ს 2022 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Ng-63.632135411 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

22. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,კომპლექსური სპორტული სკოლის’’ 2022 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Ng-63.632135423 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

23. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირის, ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს 2022 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის №g-63.632135432 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

24. ,,შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2022 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Ng-63.632135410 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

25. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, "სახლი თანადგომა"_ს 2022 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135526 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

26. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,სათნოების სახლი“–ს 2022 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135427 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

27. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის, ნოემბრის თვის შესრულების შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

28. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

29. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესის დადგენის შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 ივნისის №65 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

30. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მესამე პირებისათვის პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემისას ყველა სახეობის პარკირების ადგილების სარგებლობისათვის, საჯარიმო სადგომზე გადაყვანისა და დგომისათვის საფასურის ზედა ზღვარის დადგენის შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 ივნისის №66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

31. სხვადასხვა

კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება''-ს, 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.63213541 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 15 დეკემბრის** N62-6222349120 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება''-ს 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში. კერძოდ, თანამდებობრივი სარგოს მუხლში თანხა მცირდება 29.7 ათ.ლარით; საქონელი და მომსახურეობის ხარჯის მუხლში 19.9 ათ.ლარით, სულ 49.6 ათ.ლარით, შესაბამისად თანხა იზრდება ჯილდო/ პრემიის მუხლში 49.6 ათ.ლარით.

აზრი გამოთქვეს: ჯონი ახობაძემ, ნუგზარ ჯამბურიამ.

ჯონი ახობაძე - მინდა მადლობა გადავუხადოთ კომუნალური გაერთიანების ხელმძღვანელს კარგი მუშაობისათვის.

ნუგზარ ჯამბურია - ბატონო ჯონი, სავსებით გეთანხმებით. მე აქ არ მეგულება არც ერთი ადამიანი, რომელიც ამ სამსახურის მიმართ მოკრძალებული, პატივისცემის გრძნობით და სიამოვნებით, არ გადაუხდიდეს მადლობას. კარგად მოგეხსენებათ ქალაქის იერსახე იწყება კულტურით და დასუფთავებით. კიდევ ერთხელ ვუხდით მადლობას მის ყველა თანამშრომელს, დაწყებულს ზედა ეშელონებით და დამთავრებულს იმ მოფუსფუსე ქალბატონებით და ბატონებით, რომლებიც დილა ადრიან, ჩვენს სამსახურში მოსვლამდე, თავიანთ მოვალეობას პირნათლად ასრულებენ. მადლობა და წარმატებები თქვენ.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება''-ს, 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.63213541 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ -ს 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63. 63213544 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022**

წლის 15 დეკემბრის N62-6222349122 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება''-ს 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. სუბსიდიის გეგმა იზრდება 9.70 ათ.ლარით. ასევე ხორციელდება მუხლობრივი ცვლილებები. კერძოდ, მივლინების ხარჯის მუხლში თანხა მცირდება 0.60 ათ.ლარით; სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯის მუხლში 1.10 ათ.ლარით; საოფისე ტექნიკის, ინვენტარის მოვლა-შენახვის, ექსპლოატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯის მუხლში 0.20 ათ.ლარით; ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯის მუხლში 1.10 ათ.ლარით; აუდიტორული მომსახურების ხარჯის მუხლში 0.60 ათ.ლარით; სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის მუხლში 1.10 ათ.ლარით; დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების მუხლში 0.60 ათ.ლარით; სხვა ხარჯების მუხლში 0.40 ათ.ლარით; სულ 5.70 ათ.ლარით, შესაბამისად თანხა იზრდება ჯილდო/პრემიის მუხლში 10.20 ათ.ლარით; შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურების მუხლში 2.50 ათ.ლარით; კომპიუტერული ტექნიკის შეძენის ხარჯის მუხლში 0.2 ათ.ლარით; ელექტრო-ენერგიის ხარჯის მუხლში 1.00 ათ.ლარით; ტრანსპორტის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯის მუხლში 0.50 ათ.ლარით, ხოლო ტრანსპორტის დაქირავების ხარჯის მუხლში 1.00 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვა: აკაკი მინაშვილმა.

აკაკი მინაშვილი - დაინტერესდა სასაფლაოების მოვლა-პატრონობითა და ხარჯვითი ნაწილით. ასევე აღნიშნა, რომ სასურველი იქნებოდა თუ საკრებულოს წევრებისათვის შეიძენდა ლეპტოპებს და თავიდან იქნებოდა აცილებული ქაღალდის ამდენი ხარჯვა.

ელგუჯა კალაძემ ამომწურავი პასუხი გასცა აკაკი მინაშვილის შეკითხვებს.

ლეპტოპებთან დაკავშირებით ნუგზარ ჯამბურიამ უპასუხა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით გვიფიქრია, გვიმსჯელია, ეტაპობრივად ნამდვილად გვინდა ამის კეთება. ეს მარტო ამ წლის გეგმა არ არის. წინა წელსაც გვქონდა ამ საკითხის ირგვლივ საუბარი. ჩემი ანგარიშის დროს რიტორიკული კითხვა დავსვი, ,,რატომ ვიმყოფებით აქ და რისთვის''. აქ იმიტომ ვიმყოფებით, რომ საკრებულოში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, ვცდილობთ შევქმნათ ელემენტარული პირობა იმისათვის, რომ საკრებულოს წევრს სამუშაოდ ჰქონდეს მშვიდი, კომფორტული და ყველასათვის მისაღები პირობები. ეს არ არის დღევანდელი თემა და ჩვენს სამუშაო გეგმაში დევს საკითხის ეტაპობრივი მოგვარების შესაძლებლობა.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება,

,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ -ს 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63. 63213544 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, `სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლის'' 2022 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.63213545 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 15 დეკემბრის N62-6222349115 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლა''-ს 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში. კერძოდ, შრომის ანაზღაურების თანამდებობრივი სარგოს მუხლში თანხა მცირდება 4.9 ათ.ლარით, შესაბამისად თანხა იზრდება ჯილდო/პრემიის მუხლში 4.9 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, `სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლის'' 2022 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.63213545 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლის'' 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N გ-63.63213546 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 15 დეკემბრის** N62-6222349129 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. „ სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლა“-ს 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. სუბსიდიის გეგმა იზრდება 1.80 ათ.ლარით და 2022 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 74.50 ათ.ლარით. ასევე ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, თანამდებობრივი სარგოს მუხლში თანხა მცირდება 0.50 ათ.ლარით; წყლის ხარჯის მუხლში 0.05 ათ.ლარით; არაფინანსური

აქტივების ხარჯის მუხლში 0.20 ათ.ლარით; შესაბამისად თანხა იზრდება შრომის ანაზღაურების მუხლიდან ჯილდო/პრემიის მუხლში 2.50 ათ.ლარით, ასევე ელექტრო-ენერგიის ხარჯის მუხლში 0.05 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლის'' 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N გ-63.63213546 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის '' 2022 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის № გ-6363213542 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 15 დეკემბრის** N62-6222349111 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის'' 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში. სუბსიდიის გეგმა იზრდება 1.9 ათ.ლარით და ბიუჯეტი განისაზღვრა 73.9 ათ.ლარით. ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, საქონელი და მომსახურეობის მუხლში თანხა მცირდება 0.3 ათ.ლარით და შესაბამისად თანხა იზრდება შრომის ანაზღაურების მუხლიდან ჯიდლო /პრემიის მუხლში 2.2 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის'' 2022 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის № გ-6363213542 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის" 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021

წლის 20 დეკემბრის №-გ.63.63213543 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 15 დეკემბრის** N62-6222349116 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლა''-ს 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. სუბსიდიის გეგმა იზრდება 1.6 ათ.ლარით, ხოლო საკუთარი შემოსავლის გეგმა 0.2 ათ.ლარით. ასევე ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, თანხა მცირდება შრომის ანაზღაურების მუხლში, თანამდებობრივი სარგო 0.39 ათ.ლარით და იზრდება თანხა ჯილდო/ პრემიის მუხლში 2.19 ათ.ლარით. შემოსავლების გეგმა განისაზღვრა სუბსიდიით 105.6 ათ.ლარით, საკუთარი შემოსავლები 5.0 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის“ 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის № გ.63.63213543 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის'' 2022 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის №გ-63.63213547 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 15 დეკემბრის** N62-6222349108 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა''-ს 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, 2022 წლის ბიუჯეტის სუბსიდიის შემოსავლების გეგმა იზრდება 1.70 ათ.ლარით და შესაბამისად შრომის ანაზღაურების მუხლში ჯილდო/პრემიის თანხა განისაზღვრა 1.70 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის'' 2022 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის №g-63.63213547 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, `სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის'' 2022 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N g-63 .632135414 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 15 დეკემბრის** N62-6222349119 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა).ი.პ. „ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტოლების სამუსიკო სკოლა''-ს 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში. სუბსიდიის გეგმა იზრდება 0.20 ათ.ლარით და ბიუჯეტი განისაზღვრა 51.7 ათ.ლარით. ასევე ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, თანამდებობრივი სარგოს მუხლში თანხა მცირდება 0.55 ათ.ლარით; მივლინება ქვეყნის შიგნით მუხლში 0.20 ათ.ლარით; სხვა საქონელი და მომსახურეობის ხარჯის მუხლში 0.10 ათ.ლარით; არაფინანსური აქტივების მუხლში 0.20 ათ.ლარით, შესაბამისად თანხა იზრდება შრომის ანაზღაურების მუხლში, ჯილდო/ პრემია 1.25 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, `სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის'' 2022 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N g-63 .632135414 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დღის წესრიგის IX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების'' 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N g-63.632135415 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 15 დეკემბრის** N62-6222349105 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება''-ს 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. 2022 წლის სუბსიდიის გეგმა იზრდება 92.7 ათ.ლარით. ასევე ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილებები. კერძოდ, თანამდებობრივი სარგოს მუხლში თანხა მცირდება 2.3 ათ.ლარით; კვების ხარჯის მუხლში 26.0 ათ.ლარით; ხოლო არაფინანსურ აქტივში შენობა-ნაგებობების ხარჯის მუხლში 2.5 ათ.ლარით; სხვა მანქანა-დანადგარების ხარჯის მუხლში 13.0 ათ.ლარით; მუსიკალური ინსტრუმენტის ხარჯის მუხლში 0.4 ათ.ლარით; ავეჯის ხარჯის მუხლში 0.6 ათ.ლარით; მაცივრის ხარჯის მუხლში 0,3 ათ.ლარით, შესაბამისად თანხა იზრდება შრომის ანაზღაურებაში ჯილდო/პრემიის მუხლში 132.5 ათ.ლარით; შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა მუხლში 5.3 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N გ-63.632135415 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის X საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს 2022 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135416 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 15 დეკემბრის** N62-6222349103 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი''-ს 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში. სუბსიდიის შემოსავლების გეგმა გაიზარდა 3.50 ათ.ლარით. ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, თანხა მცირდება თანამდებობრივი სარგოს მუხლში 1.80 ათ.ლარით; ელექტრო-ენერგიის ხარჯის მუხლში 0.60 ათ.ლარით; წყლის ხარჯის მუხლში 0.05 ათ.ლარით; ოფისის ხარჯის მუხლში, რომელიც არ არის კლასიფიცირებული 0.15 ათ.ლარით; არაფინანსური აქტივების მუხლში 0.80 ათ.ლარით, მ.შ. არასაცხოვრებელი შენობები 0.70 ათ.ლარით; კომპიუტერის შეძენის მუხლში 0.05 ათ.ლარით და სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული 0.05 ათ.ლარით, სულ 3.40

ათ.ლარით, შესაბამისად თანხა იზრდება შრომის ანაზღაურების მუხლში, ჯილდო/პრემია - 6.90 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს 2022 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135416 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის XI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება''-ს 2022 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135422 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 15 დეკემბრის** N62-6222349124 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება''-ს 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. 2022 წლის ბიუჯეტი გაიზარდა და მოწესრიგდა 2.3 ათ.ლარით. სუბსიდიის გეგმა განისაზღვრა 99.6 ათ.ლარით. ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, თანხა მცირდება შრომის ანაზღაურების მუხლში, თანამდებობრივი სარგო- 1.5 ათ.ლარით, მივლინების მუხლში 0.25 ათ.ლარით; კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯის მუხლში 0.25 ათ.ლარით; შესაბამისად თანხა იზრდება შრომის ანაზღაურების მუხლში, ჯილდო/პრემია - 2.9 ათ.ლარით; ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპ.ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთის შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო სასტამბო ხარჯის მუხლში 0.7 ათ.ლარით; კატრიჯების შეძენა და დატუმბვის ხარჯის მუხლში 0.1 ათ.ლარით; ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის მუხლში 0.3 ათ.ლარით; გათბობის მიზნით სხვა საწვავის და ნედლეულის შეძენის ხარჯის მუხლში 0.3 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება''-ს 2022 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135422 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის XII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა''-ს 2022 წლის შემოსავლისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N გ-63.632135421 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ".

მომხსენებელმა გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 15 დეკემბრის** N62-6222349102 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა -გალერეა''-ს 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. 2022 წლის შემოსავლის გეგმა იზრდება 0.8 ათ.ლარით. ასევე ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, ელექტრო-ენერგიის ხარჯის მუხლში თანხა მცირდება 0.1 ათ.ლარით; ტრანსპორტის დაქირავება-გადაზიდვის ხარჯის მუხლში 0.5 ათ.ლარით; მივლინების ხარჯის მუხლში 0.2 ათ.ლარით; დანამატის ხარჯის მუხლში 0.1 ათ.ლარით; სულ 0.9 ათ.ლარით, შესაბამისად თანხა იზრდება ჯილდო/პრემიის მუხლში - 1.7 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა''-ს 2022 წლის შემოსავლისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N გ-63.632135421 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დღის წესრიგის XIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის'' 2022 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის № გ-6363213548 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 15 დეკემბრის** N62-6222349112 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი"-ს 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. სუბსიდიის გეგმა იზრდება 0.8 ათ.ლარით და ბიუჯეტი განისაზღვრა 47.6 ათ.ლარით. ასევე ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, თანხა მცირდება საქონელი და მომსახურების მუხლში 0.1 ათ.ლარით და შესაბამისად თანხა იზრდება შრომის ანაზღაურების მუხლში, ჯილდო/პრემია - 0.9 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის'' 2022 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის № გ-6363213548 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დღის წესრიგის XIV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, ,,შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნეს"-ს 2022 წლის საგამომცემლო-საწარმოო პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.63213549 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 15 დეკემბრის** N62-6222349125 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება შ.პ.ს. ,,სამტრედიის მაცნე''- 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში. ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, თანხა მცირდება ოფისის მუხლიდან საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტინების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენის ხარჯის მუხლში 0.1 ათ.ლარით; ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთის შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო-სასტამბო ხარჯების მუხლში 1.8 ათ.ლარით; კავშირგაბმულობის ხარჯის მუხლში 0.1 ათ.ლარით; ელექტრო-ენერგიის ხარჯის მუხლში 0.4 ათ.ლარით. შესაბამისად თანხა იზრდება შრომის ანაზღაურების მუხლში, ჯილდო/ პრემია -- 2.1 ათ.ლარით; კომპიუტერული ტექნიკის ხარჯის მუხლში 0.1 ათ.ლარით; სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის მუხლში 0.2 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნეს"-ს 2022 წლის საგამომცემლო-საწარმოო პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.63213549 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დღის წესრიგის XV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საზოგადოებრივი

ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს, 2022 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135417 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 15 დეკემბრის** N62-6222349128 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი"-ს 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. ხორციელდება მიზნობრივ ტრანსფერში შიდა მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, თანამდებობრივი სარგოს მუხლში თანხა მცირდება 4.36 ათ.ლარით; დანამატის მუხლში 0.18 ათ.ლარით; მივლინების მუხლში 0.10 ათ.ლარით; სულ 4.64 ათ.ლარით და შესაბამისად თანხა იზრდება 4.64 ათ.ლარით ჯილდო/ პრემიის მუხლში. ადგილობრივ ბიუჯეტში ხორციელდება მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, თანამდებობრივი სარგოს მუხლში თანხა მცირდება 1.15 ათ.ლარით და შესაბამისად იზრდება ჯილდო/ პრემიის მუხლში 1.15 ათ.ლარით.

აზრი გამოთქვა: ნუგზარ ჯამბურიამ.

ნუგზარ ჯამბურია - საზოგადოებრივი ჯანდაცვის ვალდებულება, მოვალეობა, ეს არის ზრუნვა ჯანმრთელობაზე და საზოგადოების იმ ფენაზე, რომლებიც ხვალ და ზეგ საქმისათვის, ქვეყნისათვის, მუნიციპალიტეტის კეთილდღეებისათვის თავიანთ შრომას, გამოცდილებას და ენერგიას დებენ. წარმატებას გისურვებთ, დარწმუნებული ვარ რომ ყველაფერი კარგად იქნება.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს, 2022 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135417 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის XVI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის, 2022 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ", 2021 წლის 20 დეკემბრის N გ-63.632135418 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 15 დეკემბრის** N62-622234956 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2022 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამა და სოციალური დახმარების გაცემის წეს''-ში ცვლილების

შეტანის საკითხს. კერძოდ,

1. **მუხლი 7. ,,მეორე მსოფლიო ომის მონაწილეების ფინანსური დახმარება''ს** დაემატოს პუნქტი 1.1, რომელიც ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1.1 საახალწლოდ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს დაერიცხოს 1 000- 1 000 ლარი;

მუხლი 4. ,,უდედმამო ბავშვების დახმარება''-ს დაემატოს პუნქტი 1.1, რომელიც ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1.1 საახალწლოდ უდედმამო ბავშვებს დაერიცხოს 100-100 ლარი;

2. თანხა გაიზარდოს:

მუხლი 3. სტუდენტების დახმარება - 4 400 ლარით;

მუხლი 14. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება - 9 000 ლარით;

მუხლი 16. შ.შ.მ. პირების ფინანსური დახმარება; -3 000 ლარით;

მუხლი 17. ერთჯერადი დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში -13 000 ლარით;

მუხლი 25. მოწყვლადი ოჯახების ფინანსური დახმარება -3 000 ლარით;

მუხლი 24. აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია -- 3 600 ლარით;

მუხლი 12. დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების დახმარება - 400 ლარით;

მუხლი 13. ლეიკემიით, ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით და დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური დახმარება - 2 400 ლარით;

შესაბამისად თანხა შემცირდეს;

მუხლი 10. სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის თანხა - 2000 ლარით.

მუხლი 7. მეორე მსოფლიო ომის მონაწილეების ფინანსური დახმარება - 1 600 ლარით;

მუხლი 1. სამედიცინო მომსახურება - 10 000 ლარით;

მუხლი 6. ხანდაზმულების დახმარება - 1 000 ლარით;

მუხლი 9. მიცვალებულთა სარიტუალო ხარჯების დაფინანსება - 2 000 ლარით;

მუხლი 8. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა (ვეტერანთა) სოციალური დახმარება - 1 500 ლარით;

მუხლი 28. ახალდაქორწინებული ოჯახების წახალისება - 10 000 ლარით;

მუხლი 4. დედმამით ობოლ ბავშვთა ფინანსური დახმარება - 3 200 ლარით;

მუხლი 19. სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ბინის ქირის გადასახადი - 2 600 ლარით;

მუხლი 23. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის, ხანდაზმულების, მრავალშვილიანების, შ.შ.მ.პ. ღონისძიებების ტრანსპორტირების ხარჯები -- 3 400 ლარით;

მუხლი 21. სამკერვალო საწარმო „გვირილა“-ში დასაქმებულ შშმ ქალების დახმარება ტრანსპორტირების კუთხით -1 500 ლარით.

აზრი გამოთქვეს: ჯონი ახობაძემ, აკაკი მინაშვილმა.

ჯონი ახობაძე- მინდა მადლობა გადავუხადო მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ დავით ბახტაძეს. ის პაკეტი, რომელიც საკრებულოს გამოუგზავნა დასამტკიცებლად შესანიშნავია. ჩვენ ყველას გვაქვს შეხება მოსახლეობასთან, ეს მიზერულია რასაც ვაკეთებთ, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია თითოეული ოჯახისათვის. მადლობა სოციალურ სამსახურს.

აკაკი მინაშვილი - ვუერთდები ბატონი ჯონის ნათქვამს, მადლობას ვეტყვი ბატონ ლევანის სამსახურს და კიდევ ერთხელ გამოვხატავ მხარდაჭერას წარმოდგენილი პროექტის მიმართ. სასურველი იქნება დაემატოს კიდევ სხვა კატეგორიები, რათა მოცული იქნას მეტი მოსახლეობის მეტი ფენა.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის, 2022 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“, 2021 წლის 20 დეკემბრის N გ-63.632135418 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის XVII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N გ-63.632135419 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 15 დეკემბრის** N62-6222349127 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. „ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი

მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი“-ს 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. სუბსიდიის გეგმა იზრდება 11.20 ათ.ლარით. ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილებები. კერძოდ, თანამდებობრივი სარგოს მუხლში თანხა მცირდება 0.50 ათ.ლარით; საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენის ხარჯის მუხლში 0.10 ათ.ლარით; საოფისე ავეჯის მუხლში 3.00 ათ.ლარით; ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯის მუხლში 0.10 ათ.ლარით; სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის მუხლში 0.34 ათ.ლარით; სოციალური უზრუნველყოფა - დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების მუხლში 0.20 ათ.ლარით, სულ 4.24 ათ.ლარით; შესაბამისად იზრდება თანხა ჯილდო/პრემიის მუხლში 11.90 ათ.ლარით; შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურების მუხლში 0.20 ათ.ლარით; ელექტრო-ენერგიის მუხლში 0.34 ათ.ლარით; კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების მუხლში 3.00 ათ.ლარით. ასევე არაფინანსური აქტივებიდან კოსტიუმების შეძენის მუხლში თანხა მცირდება 9.50 ათ.ლარით. შესაბამისად იზრდება რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯების მუხლში თანხა 9.50 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N გ-63.632135419 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის XVIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „საფრენბურთო კლუბი - „ჯიკო“-ს 2022 წლის სუბსიდიის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის №გ-63.632135420 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 15 დეკემბრის** N62-6222349114 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საფრენბურთო კლუბი ჯიკო’’-ს 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. სუბსიდიის გეგმა იზრდება 12.5 ათ. ლარით. ხორციელდება მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, შრომითი

ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურების მუხლში თანხა მცირდება 4.4 ათ.ლარით. შესაბამისად თანხა იზრდება ჯილდო/ პრემიის მუხლში 2.3 ათ.ლარით; რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯის მუხლში 2.1 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „საფრენბურთო კლუბი - „ჯიკო“-ს 2022 წლის სუბსიდიის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის №g 63.632135420 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის XIX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს 2022 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Ng-63.632135413 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 15 დეკემბრის** N62-6222349106 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა).ი.პ. „ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი „ფალავანი“-ს 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში. სუბსიდიის შემოსავლის გეგმა იზრდება 5.50 ათ.ლარით და განისაზღვრა 224.00 ათ.ლარით. ასევე ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, კომუნალურ მუხლში თანხა მცირდება 0.30 ათ.ლარით, შესაბამისად თანხა იზრდება შრომის ანაზღაურების მუხლში, ჯილდო/ პრემია - 3.75 ათ.ლარით; მივლინება ქვეყნის შიგნით 0.70 ათ.ლარით და კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯის მუხლში 1.35 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვა: ვეფხია სტურუამ.

ვეფხია სტურუა - მინდა მოგილოცოთ დღევანდელი დღე, წმინდა ნიკოლოზი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახების მფარველი. სასიხარულო ინფორმაცია მინდა გაცნობოთ. 16-17 დეკემბერს ქალაქ თბილისში ჩატარდა ეროვნული ჩემპიონატი სამბოში. სამტრედიელმა ოთხმა მოჭიდავემ, გიორგი ზაქარიაძემ (მძიმე წონაში), ჩემპიონი გახდა. დავით ბაღდავაძემ (მძიმე წონაში) მესამე ადგილი აიღო, სერგო გოგიშვილიმა 98 კგ-ში, მესამე ადგილი აიღო და ლიკა წიქვაძე 78კგ-ში, მესამე ადგილის მფლობელი გახდა. მწვრთნელი არის ავთანდილ თარგამაძე. ვულოცავთ მათ ამ წარმატებებს.

საკრებულოს თითოეულ წევრს მხარდაჭერისთვის უღრმეს მადლობას მოგახსენებთ.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს 2022 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის №-63.632135413 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის XX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბის 2022 წლის შემოსავლისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის №-63.632135412 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

მომხსენებელმა გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 15 დეკემბრის** N62-6222349109 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. „ სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საცხენოსნო სპორტული კლუბი''-ს 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, თანხა მცირდება მივლინების მუხლში 0.10 ათ.ლარით; ოფისის მუხლში რეცხვის, ქიმწმენდისა და სანიტარული საგნების შეძენა - 0.20 ათ.ლარით; კავშირგაბმულობის მუხლში 0.20 ათ.ლარით; სამსახურებრივი ცხოველების მოვლა-შენახვასთან და აღკაზმულობასთან დაკავშირებული ხარჯის მუხლში 0.40 ათ.ლარით; ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) მუხლში 0.70 ათ.ლარით; სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის მუხლში 0.80 ათ.ლარით, შესაბამისად, თანხა იზრდება შრომის ანაზღაურების მუხლში, ჯილდო/პრემია - 2.40 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბის 2022 წლის შემოსავლისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის №-63.632135412 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

დღის წესრიგის XXI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ხელბურთელთა

კლუბი ,,სამტრედია“-ს 2022 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135411 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 15 დეკემბრის** N62-6222349118 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელბურთელთა კლუბი „სამტრედია“-ს 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. სუბსიდიის შემოსავლის გეგმა იზრდება 1.70 ათ.ლარით და განისაზღვრება 123.30 ათ.ლარით, კერძოდ თანხა იზრდება შრომის ანაზღაურების მუხლში, ჯილდო/პრემიის - 1.70 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ხელბურთელთა კლუბი ,,სამტრედია“-ს 2022 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135411 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის XXII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,კომპლექსური სპორტული სკოლის’’ 2022 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135423 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 15 დეკემბრის** N62-6222349107 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის „კომპლექსური სპორტული სკოლა“-ს 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. სუბსიდიის შემოსავლის გეგმა იზრდება 3.80 ათ.ლარით და განისაზღვრა სულ 244.10 ათ.ლარით. ასევე ხორციელდება მუხლობრივი ცვლილებები. კერძოდ, თანხა მცირდება თანამდებობრივი სარგოს მუხლში 0.18 ათ.ლარით, მივლინება ქვეყნის გარეთ მუხლში 0.05 ათ.ლარით; ელექტრო-ენერგიის ხარჯის მუხლში 0.12 ათ.ლარით; კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯის მუხლში 0.10 ათ.ლარით, შესაბამისად თანხა იზრდება ანაზღაურების მუხლში, ჯილდო/პრემია - 4.25 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,კომპლექსური სპორტული სკოლის'' 2022 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135423 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის XXIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირის, ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს 2022 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის №გ-63.632135432 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 15 დეკემბრის** N62-6222349104 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა)ი.პ. რაგბის კლუბი „ფენიქსი“-ს 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში. სუბსიდიის გეგმა იზრდება 3.90 ათ.ლარით, რომელიც უნდა მიემართოს შრომის ანაზღაურების ჯილდო/პრემიის მუხლში. ასევე ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯის მუხლში თანხა მცირდება 1.23 ათ.ლარით, შესაბამისად თანხა იზრდება სამედიცინო ხარჯის მუხლში 1.23 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი,

აზრი გამოთქვა: გურამ ხუჭუამ.

გურამ ხუჭუა - იმის მიუხედავად, რომ წელწად ნახევარია ოფიციალურად ვმუშაობთ, ჩვენი ორი მოთამაშე ლადო ჭიჭინაძე და ნიკოლოზ ცხვარაძე, ეხლახან გამოიძახეს საქართველოს ოც წლამდე ნაკრებში და იქ გააგრძელებენ წვრთნას.

საკრებულოს წევრებმა წარმატებები და წინსვლა უსურვეს რაგბის კლუბი „ფენიქსი“-ს წარმომადგენელს.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირის, ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს 2022 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის №გ-63.632135432 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის XXIV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ

უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, ,,შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2022 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135410 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 15 დეკემბრის** N62-6222349126 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, შ.პ.ს. სამტრედიის მუნიციპალიტეტის " სპორტული კომპლექსი სამტრედია''-ს 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. ხორციელდება მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, თანხა მცირდება თანამდებობრივი სარგოს მუხლში 0.54 ათ.ლარით; დანამატის მუხლში 0.37 ათ.ლარით; შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურების მუხლში 0.02 ათ.ლარით; რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯის მუხლში 0.07 ათ.ლარით; ელექტორ-ენერგიის ხარჯის მუხლში 1.16 ათ.ლარით; ბუნებრივი აირის ხარჯის მუხლში 0.16 ათ.ლარით; წარმომადგენლობითი ხარჯის მუხლში 1.0 ათ.ლარით; რბილი ინვენტარის, უნოფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯის მუხლში 5.21 ათ.ლარით; საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯის მუხლში 3.84 ათ.ლარით; ტრანსპორტის მიმდინარე რემონტის ხარჯის მუხლში 0.46 ათ.ლარით; ექსპლოატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯის მუხლში 0.70 ათ.ლარით; ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯის მუხლში 0.24 ათ.ლარით, კულტურულ, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების მუხლში 1.10 ათ.ლარით; სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის მუხლში 3.63 ათ.ლარით; არაფინანსური აქტივების მუხლში 0.96 ათ.ლარით; შესაბამისად თანხა იზრდება ჯილდო/პრემიის მუხლში 17.80 ათ.ლარით; ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯის მუხლში 1.21 ათ.ლარით; წყლის ხარჯის მუხლში 0.10 ათ.ლარით; სოციალური უზრუნველყოფის ხარჯის მუხლში 0.35 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2022 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135410 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის XXV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, "სახლი თანადგომა"_ს 2022 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135526 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 15 დეკემბრის** N62-6222349113 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სახლი „თანადგომა“-ს 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში. კერძოდ, ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება. შენობის და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯის მუხლში თანხა მცირდება 27.4 ათ.ლარით; კვების ხარჯის მუხლში 3.5 ათ.ლარით, სულ 30.9 ათ.ლარით; შესაბამისად ელექტრო-ენერგიის ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 0.1 ათ.ლარით; წყლის ხარჯის მუხლში 0.1 ათ.ლარით; ჯილდო/პრემიის მუხლში 3.3 ათ.ლარით; არაფინანსური აქტივის მუხლში (არასაცხოვრებელი შენობები) 27.4 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, "სახლი თანადგომა"_ს 2022 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135526 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის XXVI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,სათნოების სახლი“–ს 2022 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135427 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 15 დეკემბრის** N62-6222349121 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოები სახლი’’-ს 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილებები. კერძოდ, კომუნალურ (ელექტრო-ენერგია) მუხლში თანხა მცირდება 3.3 ათ.ლარით; თანამდებობრივი სარგოს მუხლში 6.2 ათ.ლარით; შესაბამისად შრომის ანაზღაურების მუხლში, ჯილდო/პრემიის თანხა იზრდება 6.9 ათ.ლარით; შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ

პირთა ანაზღაურება 0.6 ათ.ლარით და სხვა საქონელი და მომსახურეობის მუხლში (კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებები) 2.0 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვა: ჯონი ახობაძემ.

ჯონი ახობაძე - ბენეფიციარების შემოსატანი თანხა მიმაჩნია, რომ არის ძალიან ცოტა. საჭიროა გადაიხედოს ეს საკითხი და მოხდეს თანხის გაზრდა. შევიდეს ცვლილება ძველ წესდებაში და მოხდეს შესაბამისი კორექტირება.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,სათნოების სახლი"–ს 2022 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135427 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის XXVII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის, ნოემბრის თვის შესრულების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ", საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა" ქვეპუნქტის და" საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" 70-ე მუხლის შესაბამისად, 2021 წლის 20 დეკემბრის N20 დადგენილებით სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი, თანხით 18757,8 ათასი ლარის ოდენობით.

ადგილობრივი შემოსულობები განისაზღვრა 17098,6 ათასი ლარით, მათ შორის:

- საგადასახადო შემოსავლები - 15356,1 ათასი ლარი.

- სხვა შემოსავლები -1742,5 ათასი ლარი.

- არაფინანსური აქტივების ზრდა - 0 ათასი ლარი.

თერთმეტ თვეში ბიუჯეტის მიმართ რვაჯერ განხორციელდა ცვლილება და ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 36658,2 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზარდა 17900,4 ათასი ლარით.

- საგადასახადო შემოსავლები განისაზღვრა -16835,0 ათასი ლარით.
- სხვა შემოსავლები განისაზღვრა - 2649,4 ათასი ლარით.
- არაფინანსური აქტივების ზრდა - 564,4 ათასი ლარით.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა -

12588,9 ათასი ლარით.

დამტკიცებულ ბიუჯეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები მიზნობრივი ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა - 210,0 ათასი ლარით, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისათვის ირიცხება 4047,4 ათ.ლარი, რომელიც განაწილებულია.

შემოსულობების ანალიზი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ნოემბრის თვის შემოსავალმა შეადგინა 28314,7 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 95.3 %-ით, საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 15937,4 ათასი ლარი, რაც ნოემბრის თვის გეგმის 100.3 %-ია, დ.ღ.გ. საქმიანობიდან მიღებულმა გადასახადმა შეადგინა - 12934,6 ათასი ლარი გეგმა შესრულდა- 100.3 %-ით, ხოლო მიწის გადასახადიდან მიღებულია - 1059,8 ათასი ლარი გეგმა შესრულდა 105.1%-ით, ქონების(იურიდიულ და ფიზიკურ პირთა) გადასახადი 1943,0 ათ.ლარი გეგმა შესრულდა -98.1 %-ით.

სულ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჩამორიცხულმა ტრანსფერის ოდენობამ შეადგინა -9272,2 ათასი ლარი.

სხვა (ადგილობრივი) შემოსავლებიდან ათ თვეში მიღებულია 2540,7 ათასი ლარი, გეგმა 2482.5 ათასი ლარი, შესრულება (102.3%) კერძოდ: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებიდან - 110,9 ათასი ლარი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი -802,0 ათასი ლარი, ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან მიღებულია - 433,6 ათასი ლარი, დასუფთავების მოსაკრებელი - 180,9 ათასი ლარი, ბანკიდან მიღებული დეპოზიტი - 676,8 ათასი ლარი, სანებართვო მოსაკრებელი - 25,7 ათ.ლარი, ტრანსფერი, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული - 163,1 ათ.ლარი და სხვა შემოსავლები - 147,7 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავალია - 564,4 ათ.ლარი, კერძოდ შემოსავალი ძირითადი ქონების გაყიდვიდან - 94,0 ათ.ლარი და შემოსავალი მიწის გაყიდვიდან -470,4 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 100.1%-ით.

ხოლო, რაც შეეხება 2022 წლის ნოემბრის თვის შემოსულობების შესრულების შედარებას 2021 წლის ანალოგიური პერიოდის ფაქტთან (19750,9 ათასი ლარი), შემოსულია 8563,8 ათასი ლარით მეტი.ზრდის ტემპი არის 143,4 %-ი.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ნოემბრის თვის ხარჯების საკასო შესრულებამ შეადგინა - 26544,5 ათასი ლარი, რაც გეგმის 78.7%-ია (თერთმეტი თვის გეგმა -33724.7ათასი ლარი).

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ.

საკრებულოს წევრებმა მადლობა გადაუხადეს საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელს და მთელს მის შემოქმედებით კოლექტივს.

დაადგინეს: ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის, ნოემბრის თვის შესრულების შესახებ, მიღებულია ცნობად.

დღის წესრიგის XXVIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20

დეკემბრის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ, თერთმეტი თვის შემოსავლების ანალიზიდან გამომდინარე გაიზარდა და მოწესრიგდა ადგილობრივი შემოსავლების გეგმა სულ 133,2 ათ. ლარით, კერძოდ:

- პროცენტი გაიზარდა- 29,0 ათ. ლარით;
- მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 0,3 ათ. ლარით;
- შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან -27,3 ათ. ლარით;
- სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი - 1,0 ათ. ლარით;
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი- 42,5 ათ. ლარით;
- ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის -9,1 ათ. ლარით;
- სანებართვო მოსაკრებელი - 0,4 ათ. ლარით;
- შემოსავლები მომსახურების გაწევიდან- 1,7 ათ. ლარით;
- ჯარიმები, სანქციები და საურავები - 21,9 ათ. ლარით;

ასევე, შემცირდა (02 01) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების არაფინანსური აქტივების გეგმა - 20.4 ათ. ლარით;

სულ 153,6 ათ. ლარით გაიზარდა და მოწესრიგდა :

- (კოდი 03 02) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების'' სუბსიდიის გეგმა გაიზარდა- 9,7 ათ. ლარით;
- (კოდი 04 01) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები)გაერთიანების'' სუბსიდიის გეგმა გაიზარდა - 92,7 ათ. ლარით;
- (კოდი 04 03) ა.(ა).ი.პ.სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის'' სუბსიდიის გეგმა გაიზარდა - 3,5 ათ. ლარით;
- (კოდი 05 01 02 02) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,კომპლექსური სპორტული სკოლის'' სუბსიდიის გეგმა გაიზარდა - 3,8 ათ. ლარით;
- (კოდი 05 01 02 04) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,ხელბურთელთა კლუბი "სამტრედია"-ს სუბსიდიის გეგმა გაიზარდა - 1,7 ათ. ლარით;
- კოდი 05 01 02 06) ა.(ა).ი.პ. რაგბის კლუბი "ფენიქსი"-ს სუბსიდიის გეგმა გაიზარდა - 3,9 ათ. ლარით;
- კოდი 05 01 02 07) ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი "ფალავანი"-სუბსიდიის გეგმა გაიზარდა - 5,5 ათ. ლარით;
- (კოდი 05 02 01 02) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,N2 სამუსიკო სკოლის'' სუბსიდიის გეგმა გაიზარდა - 1,8 ათ. ლარით;
- (კოდი 05 02 01 03) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,სოფ.ტოლების სამუსიკო სკოლის'' სუბსიდიის გეგმა გაიზარდოს - 0,2 ათ. ლარით;
- (კოდი 05 02 01 04) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,გომის თემის სამუსიკო სკოლის'' სუბსიდიის გეგმა გაიზარდა - 1,6 ათ. ლარით;

- (კოდი 05 02 01 05) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,სოფ. დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის'' სუბსიდიის გეგმა გაიზარდა - 1,9 ათ. ლარით;

- (კოდი 05 02 01 06) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის'' სუბსიდიის გეგმა გაიზარდა - 1,7 ათ. ლარით;

- კოდი 05 02 01 07) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,სამხატვრო სკოლა-გალერეა''-ს სუბსიდიის გეგმა გაიზარდა - 0,8 ათ. ლარით;

- (კოდი 05 02 02) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი''-ს სუბსიდიის გეგმა გაიზარდა - 11,2 ათ. ლარით;

- (კოდი 05 02 04) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,საბიბლიოთეკო გაერთიანება''-ს სუბსიდიის გეგმა გაიზარდა - 2,3 ათ. ლარით;

- (კოდი 05 04) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,საინფორმაციო ცენტრი''-ს სუბსიდიის გეგმა გაიზარდა - 0,8 ათ. ლარით;

- (კოდი 02 02 03) გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის საქონელი და მომსახურების გეგმა გაიზარდა - 10,0 ათ. ლარით;

- (კოდი 01 01 03) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის საქონელი და მომსახურების გეგმა - 0.5 ათ. ლარით;

შემცირდა - გაიზარდა :

- (კოდი 05 05 02) კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსების საქონელი და მომსახურეობის გეგმა შემცირდა - 9,0 ათ. ლარით და არაფინანსური აქტივების გეგმა - 4,6 ათ. ლარით; (კოდი 05 05 01) ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსების საქონელი და მომსახურების გეგმა შემცირდა - 6,9 ათ. ლარით; (05 01 01) სპორტული ღონისძიებების დაფინანსების საქონელი და მომსახურეობის გეგმა შემცირდა - 17,0 ათ. ლარით, სულ - 37,5 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდა (05 01 02 03) ა.(ა).ი.პ. საფრენბურთო კლუბი "ჯიკო"-ს სუბსიდიის გეგმა - 12,5 ათ. ლარით და (კოდი 05 01 01) სპორტული ღონისძიებების დაფინანსების სხვა ხარჯების გეგმა - 25,0 ათ. ლარით;

- (კოდი 06 02 05) დაკრძალვის ხარჯის სოციალური დახმარების გეგმა შემცირდა - 2,0 ათ. ლარით; (კოდი 06 02 04) სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარებების საქონელი და მომსახურების გეგმა შემცირდა - 4,9 ათ. ლარით და სოციალური უზრუნველყოფის გეგმა - 0,5 ათ. ლარით; (კოდი 06 02 06) დიდი სამამულო ომის ვეტერანთა ფინანსური დახმარება 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირების სოციალური უზრუნველყოფის გეგმა შემცირდა - 1,6 ათ. ლარით და სულ 9,0 ათ. ლარით გაზარდა (კოდი 06 02 03) დედათა და ბავშვთა დახმარების სოციალური უზრუნველყოფის გეგმა.

მუხლობრივი ცვლილებები:

- (კოდი 01 01 03) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის სოციალური უზრუნველყოფის გეგმა შემცირდა -1,4 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდა საჭვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი.

- (კოდი 05 02 01 02) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლის არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდა - 0,2 ათ.ლარით და შესაბამისად გაიზარდა ჯილდო/პრემიის მუხლი.

- (კოდი 05 02 01 03) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ.ტოლების სამუსიკო სკოლის არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდა - 0,2 ათ.ლარით და შესაბამისად გაიზარდა ჯილდო/პრემიის მუხლი.

- (კოდი 06 02 01) ა.(ა).ი.პ. „სახლი თანადგომა“-ს სუბსიდიის გეგმა შემცირდა -27,4 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდა არაფინანსური აქტივების გეგმა.

- (კოდი 04 03) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდა - 0,8 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდა ჯილდო/პრემიის მუხლი;

- (კოდი 05 02 02) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდა - 9,5 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდა სუბსიდიის გეგმა;

- (კოდი 04 01) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდა - 16,8 ათ.ლარით და შესაბამისად გაიზარდა სუბსიდიის გეგმა.

- (კოდი 02 04) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების არაფინანსური აქტივების გეგმა მთავრობით შემცირდა - 16,5 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდა საქონელი და მომსახურების გეგმა;

- (კოდი 02 02 03) გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის საქონელი და მომსახურეობის გეგმა შემცირდა - 1,5 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდა არაფინანსური აქტივების გეგმა.

- (კოდი 05 05 01) ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსების საქონელი და მომსახურეობის გეგმა შემცირდა - 3,0 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდა სხვა ხარჯების გეგმა.

- (კოდი 01 01 02) სამტრედიის მერიის არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდა 5,0 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდა საქონელი და მომსახურების გეგმა.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის XXIX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილოების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესის დადგენის შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 ივნისის №65 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ **1.** საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“–პუნქტის „გ.ბ“-ქვეპუნქტის,

61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესის დადგენის შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 ივნისის №65 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებ-პორტალი, 07.

06. 2022. სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.120.016425) შეტანილ იქნეს ცვლილება.

2. ამოღებულ იქნეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესის პირველი მუხლის მე-4 პუნქტი.

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესის მე-3 მუხლის ,,პ''-ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,პ) საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა (ავარია) – გზაზე სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისას მისივე მონაწილეობით წარმოქმნილი მოვლენა, რომლის დროსაც დაშავდა ან დაიღუპა ადამიანი, დაზიანდა სატრანსპორტო საშუალება, ტვირთი, ნაგებობა ან სხვა ქონება;''

4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. წინამდებარე წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ყველა ან რომელიმე სახეობის პარკირების ადგილების ან/და ერთი სახეობის (ქვესახეობის) პარკირების ყველა ან ზოგიერთი ადგილის ორგანიზების უფლება შეიძლება გადაეცეს ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტს.''

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესის მე-16 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. თუ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური (შემდგომ, სტრუქტურული ერთეული), ან პარკირების ორგანიზების უფლების მქონე პირი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე შემთხვევის ადგილზე სამართალდამრღვევის დაუსწრებლად გამოწერს საჯარიმო ქვითარს, ან შემთხვევის ადგილზე არ გამოწერს საჯარიმო ქვითარს და სამართალდარღვევის ეს ფაქტი ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირდება, შესაბამისი მუხლით/მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის გადახდა ეკისრება:

ა) სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მონაცემებით განსაზღვრულ პირს, რომელზედაც სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის მოწმობა ბოლოს არის გაცემული, თუ სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიცირება რეგისტრაციის ნომრით (სახელმწიფო სანომრე ნიშნით) ხდება;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში, ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში არსებული დროებითი სანომრე ნიშნით მოსარგებლე პირს, თუ სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიცირება დროებითი სანომრე ნიშნით ხდება.''

ბ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,8. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შესაბამისი პირი არ არის თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეული პირი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125^4-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება მის კანონიერ წარმომადგენელს.''

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესის დადგენის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 ივნისის №65 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის XXX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მესამე პირებისათვის პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემისას ყველა სახეობის პარკირების ადგილების სარგებლობისათვის, საჯარიმო სადგომზე გადაყვანისა და დგომისათვის საფასურის ზედა ზღვარის დადგენის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 ივნისის №66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 ივნისის №66 დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მესამე პირებისათვის პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემისას ყველა სახეობის პარკირების ადგილების სარგებლობისათვის, საჯარიმო სადგომზე გადაყვანისა და დგომისათვის საფასურის დადგენის შესახებ''.

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 ივნისის №66 დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,**მუხლი 1.**

დადგინდეს სამტრედიის მუნიცპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილებით სარგებლობისათვის საფასური დროის შემდეგი მონაკვეთების მიხედვით:

ა.ა) 1 საათამდე პერიოდი - 50 (ორმოცდაათი) თეთრი;

ა.ბ) 3 საათამდე პერიოდი - 1 (ერთი) ლარი;

ა.გ) ყოველი შემდეგი 1 (ერთი) საათი - 50 (ორმოცდაათი) თეთრი;

ბ) 1 დღე - 2 (ორი) ლარი;

გ) 7 დღე - 5 (ხუთი) ლარი;

დ) 30 დღე - 10 (ათი) ლარი;

ე) 182 დღე - 25 (ოცდახუთი) ლარი;

ვ) 365 დღე - 40 (ორმოცი) ლარი;''

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, ორგანიზების უფლების გადაცემისას ყველა სახეობის პარკირების ადგილების სარგებლობისათვის, საჯარიმო სადგომზე გადაყვანისა და დგომისათვის საფასურის ზედა ზღვარის დადგენის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 ივნისის №66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/დადგენილება თან ერთვის/

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა ამოწურულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი